№ 205
პარასკევი, 24 სექტემბერი, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 205
პარასკევი, 24 სექტემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქ. ქუთაისში
ექიმი გაბრ. იოს.
გოკიელოვი
იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12 ს., საღამ. 5—7 საათ.
ტფილისის ქუჩა, ლევან ქურთიშვილის სახლი, № 20.
(40—140—11)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა
დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

დ. კ. ერისთავი—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

იაგ. ქ. ადამიანი—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

ნ. ზ. უმიკოვი.—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

ი. დ. გეგთაგეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

კ. ი. გძელიშვილი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

ვ. მ. მახვილაძე—ბავშვებისა და ყვავილის აცრა—2—3 საათ.

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

ი. ნ. თუჯანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ს. ი. ვაწაძე.—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის მეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. ნავასარდიანი. 7—$7^1/_2$ საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—ʒ).

მ კ უ რ ნ ა ლ ი
ვლადიმერ მახვილაძე
(პეტერბურგის (მადრის) ქუჩა, სახლი № 11).
სწამლობს შინაგან სნეულებანით შეყრობილთა და ბავშვებს ყოველ დღე 12-დგან ნაშუადღევის 1 საათამდე.
(6—163—4)

ქ. ტფილისში
ექიმი ნიკო თომას ძე
ერისთავი
სწამლობს შინაგანისა და ნერვებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 11-დგან $12^1/_2$ საათამდე, საღამოს 7-დგან 8 საათამდე. მადრის ქუჩა, მამულოვის სახლი. (10—145—7)

## მთავრობის განკარგულებანი

დამტკიცებულ იქმნა: თანამდებობაში ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს საგანგებო მინდობილებათა მოხელე ტიტულიარნი სოვეტნიკი ბახტაძე.

დანიშნულ იქმნენ: აზნაური ივანე აბაზაძე გორის მაზრის პოლიციის სამმართველოს მოსამსახურედ; ფოსტალიონი დუშეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა გრიგოლ ოქროპირიძე ფოსტა-ტელეგრაფის მე-IV ხარისხის მცირე-ჯამაგირიან მოხელედ.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შუამდგომლობისამებრ ფინანსთა სამინისტროსაგან ბანკს მოუვიდა ნებართვა აბასთუმნის მამულები (სახლები და ყოველ გვარი შენობანი) გირაოდ მიიღოს იმა წესით, როგორიც არის ქალაქის მამულებისათვის დადგენილი, მარტო იმ ცვლილებით, რომ სესხად მიეცემა ნახევარი იმისი, რაც მამული დაფასდება.

*** ტფილისის გუბერნატორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას განკარგულება მოახდინეთ, რომ დასუფთავებულ იქმნას და მუდამ სუფთად ინახებოდეს ავჭალის ქუჩაზედ ქალაქის მოედნები, რომლებზედაც დღეს საშინელი უსუფთაობა სუფევსო.

*** აბასთუმნის კომენდანტი გენ.-მაიორი ვ. ო. რილსკი უმაღლეს თანამდებობაზედ დაუნიშნავთ ტფილისში.

*** მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის მოხელე ნ. ნ. ვერევკინი დანიშნულ იქმნა ქუთაისის გუბერნიის სამხედრო-საერო სამმართველოს კანცელარიის გამგის თანამდებობის აღმასრულებლად.

*** როგორც ისმის, მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ა. ს. ერმოლოვს განზრახვა აქვს დაათვალიეროს გორის მაზრაში ოძისის მამული, რომელიც თავ. ერისთავმა დაბალ სამეურნეო სკოლის დასაარსებლად შესწირა.

*** მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებული ტ. ს. ი. ს. მედვედევი 22 სექტემბერს ტფილისიდგან ბათუმს გაემგზავრა მინისტრის ტ. ს. ა. ს. ერმოლოვის მისაგებებლად.

*** ქ. გორში 23 ოქტომბერს დაიწყება ტფილისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილების სხდომები გამოჯვნის საქმეთა გარდასაწყვეტად. სხდომები გასტანს 2 ნოემბრამდე.

*** როგორც ისმის, კავკასიის უმაღლეს მთავრობას ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ განსაკუთრებულმა კომისიამ, კანტროლისა და სამხედრო უწყების წარმომადგენელის მონაწილეობით, დაათვა-

# ფელეტონი

## ა ჭ ა რ ა

დასასრული *)

საზოგადოდ აჭარლების ზნე-ჩვეულების შესახებ ითქმის, რომ ერთგვარიაო, ცოლის შერთვის გარდა. მაჰმადიანთ ცოლ-ქმრული მეუღლეობა ერთს „შაჰარიათს“, ე. ი. რჯულის კანონს, ექვემდებარება. მხოლოდ სასიძოსაგან პატარძლის ნახვის, იმის დედ-მამის ოჯახიდგან წამოყვანისა და ამ ჩვეულების სხვა-და-სხვა წესების შესრულების მხრივ თითქმის რამდენიც სოფელია, იმდენი სხვა-და-სხვა ჩვეულებაა, ან რამდენიმე სოფელი ერთს მეორეთაგან განსხვავებულ ჩვეულებას მისდევს. თვით ჯვარის წერა, ან მათებურად „ახტის შესრულება“ ამ გვარად ხდება: სასიძოსა და სარძლოს მხრიდგან თითო რწმუნებულნი და თითოც მოწმე ერთ-ერთ მათგანისას შეიკრიბებიან. ამათ თან რჯულის წარმომადგენელი ხოჯაც ახლავს, რომელსაც ადგილობრივის ყადისაგან მინდობილი აქვს შესრულოს „ახტი“ ამა თუ იმ შესაუღლებლად წოდებულ ქალ-ვაჟის შესახებ. ამათ მოლაპარაკებას ქადალდობრივად შეაყენებენ, რომელშიაც უპირველესი ყურადღება იმას აქვს მიქცეული, თუ რამდენი ჯარიმა (ნიქაჰ ფარა) მიუზღოს ამ ორთა მეუღლეთა შორის მეუღლეობის კანონის დამრღვეველმა მეორეს, რომ ეს თუ ის ამ ნიქაჰით მეორეს გაჰყვეს, ან სხვა შეირთოს. ამ „ახტის“ შესრულების დროს არც საქმრო და არც საცოლო არ ესწრება, ისიც შეიძლება ზოგჯერ, რომ ამათ არც კი იციოდნენ, რომ ის ან ცოლშერთულია, ან გათხოვილი, და ერთი მეორეს ვერ იცნობდეს, რა სახისანი არიან. ეს ძალიან ხშირი შემთხვევაა. ამ რიგად „ახტი“ შესრულებულია, რასაც დამსწრენი ხოჯითურთ ხელს აწერენ და, თუ რომელიმე მათგანი წერის უცოდინარი გამოდგა, ის პირობაზედ მელნით გათხაპნულ თითს დააწობს და მეტიც არა უნდა-რა. ეხლა საქმე ის არის, თუ როგორ ჰნახოს სასიძომ თავისი ახლად შერთული ცოლი. აი აქ არის ის სხვა-და-სხვა გვარი ჩვეულებანი. ზოგს სოფლებს ჩვეულებად აქვს, რომ სიძე ჩუმად უნდა მიიპაროს სიმამრის ოჯახში, თვით ამ ოჯახმაც არ უნდა იცოდეს, როდის მოიპარება სიძე, რომელმაც წინდაწინ იცის თავისის ცოლის ოთახი. ზოგის სოფლის ჩვეულებით, ყველამ იცის, რა ღამეს მიდის სასიძო, ზოგისაც—მარტო სიმამრის ოჯახობამ იცის ეს საიდუმლო და მისმა დაახლოვებულმა ნათესაობამ. ზედა აჭარაში ამ ბოლო ჩვეულებას მისდევენ. „ახტის“ შესრულების შემდეგ გაივლის 5—10 დღე და ერთ მშვენიერ საღამოს სიძეს კარს ცოლის ძმა, ან, თუ ცოლს ძმა არა ჰყავს, ცოლის მახლობელი ნათესავი ვინმე მოადგება. სიძეც მაშინვე დაახლოვებულ მეგობრებს, რიცხვით 3—4-მდე კაცს, მალულად, რომ ამათ გარდა სულიერმა არავინ გაიგოს, შეატყობინებს. როცა დედამიწას სიბნელე მოიცავს, პატარძლის მხრივ მოსულის კაცის წინამძღოლობით გაუდგებიან გზას, მაგრამ ხმოვან ადგილებს და გზას ძლიერ ერიდებიან, რომ არავინ გაუგოს სიძეს, თუ ცოლთან მიდის. თუ ვინმემ დაინახა და დაუძახა: „დაჭერილი ხარო“, ამას სიკვდილი ურჩევნია მეფეს და მისს მხლებლებს. ეს დიდი სირცხვილია. ამ შემთხვევაში უნდა გაჩერდნენ და რითაც დამჭერელს გული შეუჯერდება, იმით დაასაჩუქრონ, რომ სხვას არავის გაანდოს ეს საიდუმლო, და მერე ისე განაგრძონ გზა. შეიძლება ამ გვარად რამდენჯერმე დაიჭირონ გზაში, ყოველ დაჭერაზედ საჩუქარი უნდა გასცეს სიძემ, რომელიც 1—2 მანეთს არ ასცილდება. ამ გვარი შიში მოელის გზაში, ვიდრე სიძე სიმამრის ეზოში შევიდოდეს. მერე კი თავისუფალია. სიმამრი, როგორც თავი მოსწონს, იმ გვარად დაუხვდება სიძეს, მაგრამ თითონ კი არ გამოუჩნდება იმ ღამეს. ეს სიძის შეწუხება იქნება, რადგანაც მას ნება არ აქვს სიმამრის თვალ-წინ დაჯდეს, ატუზული უნდა იდგეს, თუნდაც სიმამრმა რამდენჯერმე „დაბრძანდიო“ შეეპატიჟოს.

ყველაზედ უფრო საფრთხილო და საშიში სიძისათვის ცოლის ჩაბარებაა. ამ ჩაბარებას შეუძლიან სიძეს საქმე ისე აუწეწ-დაუწეწოს, რომ იმავ ღამეს ან სამუდამოდ დასტოვოს ახლად შერთული და ან ყველასაგან ყბად-აღებული, გაკიცხული დარჩეს. ეს მისს სირცხვილ-ნამუსიანობისაგან არის დამოკიდებული. ამ ღამეს ოჯახს, რასაკვირველია, დიდი მხიარულობა ეტყობა, სწორედ ისეთი, როგორიც საქართველოს ყველა კუთხეებში. მარომბელი სასმელები, რასაკვირველია, არას დროს არ იხმარება ამათში, სამაგიეროთ საჭმელი ათას ნაირი მოდის. შუა ჭამის დროს სიძის სახლიდგან წამომყვანი, (ცოლის მომხრე) კაცი წამოდგება, ამას ერთი სიძის დაახლოვებული მხლებელთაგანი აჰყვება და სიძესაც აიყოლიებს და ამ რიგად ერთი მეორის უკან დარაზმული მიდიან იმ ოთახში, სადაც პატარძალი 10—15-მდე ქალებით იმყოფება. წინამძღოლი სცდილობს გზაში ოთახიდგან ოთახამ-

*) იხ. „ივერია“. № 204.

ლიეროს მთელი ყარსის რკინის გზა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად ვარგა ეს გზა მატარებელთა მიმოსვლისათვის.

⁂ გუშინ მოხსენებული გვქონდა სადგ. ნავთლუღის უფროსის მოადგილის გაგრინსკის-მიერ ამ სადგურის სახაზინო ფულის გაფლანგვის ამბავი. ჯერ-ჯერობით გამოურკვევიათ, რომ გაფლანგულია 19 სექტემბრის შემოსავალი, 700 მანეთამდე. კასაში ფულის რაოდენობა ჯერ კიდევ არ შეუმოწმებიათ, რადგან კასის ყუთის გასაღები თან წაუღია გაგრინსკის, რომელიც ჯერ ვერსად მოუძებნიათ.

⁂ 21 სექტემბერს ზაქათალაში ბოროტ-გამზრახველებმა თოფი ესროლეს ზაქათალის ოლქის უფროსს იაზიკოვს და დასჭრეს ხელში. ჭრილობა საშიში არ არის.

⁂ შტაბს-კაპიტანის ქვრივს მ თ. შელიმოვისას 1,000 მან. შეუწირავს ყარსის რკინის გზაზედ მომხდარ უბედურების დროს დაზარალებულთა სასარგებლოდ იმ პირობით, რომ ეს ფული ყველა დაზარალებულთა დაურიგდეთ გვარტომობისა და სარწმუნოების განურჩევლად.

⁂ ტფილისის გუბერნიის უფროსმა, საქალაქო დებულების ძალით, წინადადება მისცა გორის ქალაქის მამასახლისს, შეაჩერეთ ახლად არჩეულ ქალაქის რწმუნებულთა კრების დადგენილების შესრულება იმის შესახებ, რომ რწმუნებული მ. ფ. ხუდადოვი არჩეულ იქმნას რწმუნებულთა კრების თავმჯდომარედაო.

⁂ 21 სექტემბერს ღამით, მე-5 ნაწილში, პოლიციამ შეიპყრო 20 უპასპორტო კაცი, რომელნიც უსაქმოდ იყვნენ თურმე.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგ. თაუზში, 21 სექტემბერს შეიარაღებული თათრები თავს დაესხნენ საქონლის მატარებლის კონდუქტორებს, რომელთაგან ორი დასჭრეს და ერთიც მძიმედ გალახეს.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ დუშეთის მაზრის სოფ. ბაზალეთის მცხოვრებთ, რომელთაც სრულის მოუსავლობის გამო საშუალება არ აქვთ ხაზინაში წელს გარდასახადი შეიტანონ, ნება მიეცეთ ნაწილ-ნაწილად გარდაიხადონ მათზედ დარჩენილი სახაზინო გარდასახადი.

⁂ ქუთაისის გუბერნიის დასავლეთ ნაწილში ბამბის მოსავალი გვარიანია თურმე, ზოგან კარგიც; ხოლო იმავე გუბერნიის აღმოსავლეთ ნაწილში ბამბის მოსავალს ძალიან ნაკლებს თურმე მოელიან.

⁂ გორის მაზრის მემამულეთა სინდიკატს 11,000 ფუთი ქერი მიუყიდნია კავკასიის საინტენდანტოსათვის. ცხადია, სინდიკატს შესამჩნევად გაუფართოვებია თავისი წარმოება, თორემ საინტენდანტო მასთან საქმეს არ დაიჭერდა. მართლაც, სინდიკატმა, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც დაარსდა, სწრაფად გადადგა ნაბიჯი წინ. მას უკვე ხორბლეულობის საწყობი აქვს ტფილისში (ალექსანდრეს ქუჩაზე, № 81), გომის დეპოს განყოფილება გორის მაზრის სოფ. კნოლევში და საგენტო ქარელის სადგურზედ, ხოლო ახლო მომავალში განზრახვა აქვს საწყობები დააარსოს სოფ. ბრეთსა და დ. ცხინვალში.

⁂ „ფინანსთა უწყ.“ სწერს, რომ საფრანგეთში კავკასიიდგან ნაძვის ხეების შეტანა შესწყდა.

⁂ ქუთაისიდგან „ახ. მ.“-ს შემდეგს უცნაურ ამბავს აუწყებენ: 19 სექტემბერს იქ ერთ ქალს ტყუპი ბავშვი (ვაჟები) უშობნია, რომელთაც ორივეს ერთი თავი ჰბმიათ; თავზედ ოთხი ყურიასხიათ თურმე: ორი ყური—თავისს ადგილზედ, ორიკი—კეფაზედ, სადაც ეს ორი ყური ერთმანეთზედ ყოფილა გადაბმული.

⁂ „ტფ. ფ.“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ 21 სექტემბერს სენატმა განიხილა სააპელაციო საჩივარი „ტფილისის ფურცლის“ რედაქტორის ხ. გ. ხაჩატუროვისა, რომელსაც ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა ინსპექტორი ბალდანოვი უჩიოდა გაზეთის შემწეობით ცილი დამწამაო. სენატმა დაადგინა: ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენი, რომლის ძალითაც ხაჩატუროვს სამის თვით დატუსაღება ჰქონდა გადაწყვეტილი, გაუქმებულ იქმნას, და ბრალდებულმა, ამ სასჯელის მოხდის მაგივრად, 300 მან. ჯარიმა გარდაიხადოსო.

⁂ „სინ. ოტეჩ.“ იუწყება, რომ მიწად-მოქმედებისა და გზათა მინისტრებისა და კავკასიის მთავარ-მართებლის მოლაპარაკებით შესდგა განსაკუთრებული კომისია მდინარე რიონის კალაპოტის განსაწესრიგებლად და იმ ღონისძიებათა შესამუშავებლად, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი იქნება მცხოვრებთა დაცვა წყლისაგან მდინარის მოდიდების დროს და დიდის წვიმების შემდეგ.

⁂ ხურვალეთა, (გორის მაზრა). 21 აგვისტოს ქურდები შეპარულიყვნენ ადგილობრივის მცხოვრების ზაქარია მამაცაშვილის ბოსელში და წაეყვანათ იქიდგან უღელი ხარი. ბოქაული ბ-ნი ივანე მგალობლიშვილი მეორე დღესვე გულ-მოდგინეთ შეუდგა ქურდების ძებნას და მალე აღმოაჩინა კიდეც. ქურდები ადგილობრივივე ოსები ყოფილიყვნენ. ერთი მათგანი ამ ჟამად უკვე დაპატიმრებულია. სწორედ დიდი მადლობის ღირსია ბატონი მგალობლიშვილი, რომ ასეთ საქმეში დიდს მუყაითსა და მეცადინეობას იჩენს. იმის წყალობით ჩვენში ქურდ-ბაცაცობა რამდენადმე შესუსტდა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

თუმცა კარგა ხანია ქუთაისის „ბანკიობა“ დასრულდა, მაგრამ იმის შესახებ ლაპარაკსა და წერას ჯერაც ბოლო არ მოჰღებია. უმთავრესს სალაპარაკო საგნად წლევანდელმა „ბანკიობამ“ იმდენად თვით მოწინააღმდეგეთა ბრძოლა და მოქმედება არ გახადა, რამდენადაც ნიჭიერი პოეტი თავ. აკაკი წერეთელი და იმისი ყოფა-ქცევა ამ „ბანკიობის“ დროს. უკვე რამდენიმე წერილი დაიბეჭდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ამის შესახებ, და აი ეხლაც, ჟურნალ „მოამბე“-ს უკანასკნელ ნომერში თავ. კიტა აბაშიძის დიდ წერილსა ვკითხულობთ ამისავე შესახებ. ჩვენ აქ მოვიყვანთ ამ წერილიდგან რამდენსამე ადგილს, საიდგანაც, თუ დავუჯერებთ კიტა აბაშიძეს, აშკარადა სჩანს, ვის მხარი ეჭირა პოეტს და ვის უკმევდა გუნდრუკს. ჯერ თავშივე ავტორი სწერს:

„თ. აკაკი წერეთლის სიმპატია საითკენ იყო ქუთაისის ბანკის ბრძოლაში, ყველამ დიდი ხანია კარგად იცოდა, ხოლო, მართალი გითხრათ, ქუთაისის ინტელიგენციას ვერ გაემეტებინა, ვერ გარდაეწყვიტა, რომ დიდის ნიჭით აღჭურვილი პოეტი იქამდის დაეცემოდა, იქამდის დაე-ბავდებოდა, რომ „კლეისტრატეს დემოკრატიულ პარტიას“ ამოუდგებოდა გვერდით. ვერ გაემეტებინათ-მეთქი თ. აკაკი წერეთელი ასეთის როლის აღსასრულებლად, მაგრამ თვითვე მოისურვა და იკისრა ეგეთი როლი, ამის დამამტკიცებელი საბუთიც ხელში მოგვცა, და აბა ჩვენ რა ნება გვაქვს ეგეთი, მადლით დაჩემებული, როლი წავართვათ ენა-ტკბილს პოეტს“.

თუმცა აკაკი წერეთელიო,—ამბობს შემდეგ ავტორი,—მუდამ იმას გაიძახოდა და სწერდა, რომ მე ბანკის საქმეები არ მაინტერესებენ, რომ „ბანკი ერთი წვრილმანი მოვლინებათაგანია და ზედაც ის დააკვდეს, ვინც წვრილმანობას ვერ გასცილებიაო“, მაგრამ ნამდვილად კი ბანკი იმდენად აინტერესებდა, რომ ავადმყოფობასაც არ დაერიდა და ყველა იმის კრებას დაესწრაო.

„თ. აკაკი წერეთელი,—განაგრძობს შემდეგ კიტა აბაშიძე,—ჩუმად უოკვლდ ხაირად ეწყოდა „კლეისტრატეს“, ხოლო ცხადად-კი ხელს აფარებდა და აფარებს. მთელი მისი სიტყვიერება, გარდა პენსიისა და აგადმყოფობისა, საქმეს მხოლოდ იმით შეეხო, რომ „ბ-ნ კლეისტრატე ჩიქვანიძის სიცოცხლით სავსე მომხრეობასა და ენერგიას“ თაყვანი სცა და სახარბიელოდ მიიჩნია და გარდა ამისა ისა სთქვა, რომ ბანკი არასოდეს არ მომწონებია, უოკვლეთვის წესსა ვდებდი, როგორც დღეს, ისე ოცის წლის წინადაცაო. თავ. აკაკი წერეთელი ძლიერ დახელოვნებული და გამოცდილი კაცია, რომ არ იცოდეს, თუ ამ სიტყვებს რა მნიშვნელობა ჰქონდა იქ შეკრებილის „ხალხისათვის“. ბ-ნ ჩიქვანიძის „სიცოცხლით აღსავსეობა“ საკმარისი იყო იმად მიეღო, თავ. აკაკი წერეთელს ჩიქვანიძე მოსწონსო. ის სიტყვები კი, რომ ბანკი ამ ოცი წლის წინადაც არ მომწონდაო, იმას ნიშნავდა: „მაშ, ჩიქვანიძეს რაღას ვერჩითო“. გული კი მაინც დამალული დარჩა, გარკვეული ვერა გვითხრა-რა ჩვენმა სახელოვანმა პოეტმა და მშრალი სენტენციებით დაკმაყოფილდა, სენტენციებით, რომელთაც, ვისაც სადაც უნდა, იქითკენ გაიწევს: „მართლმსაჯულების გვერდით ხიდით ხელში“,—ესე იგი ბ-ნ კლეისტრატე ჩიქვანიძეს რას ერჩით, როცა ეგ ბანკი უოკვლეთვის მაგ მდგომარეობაში იყოო. „ას-კარგი გაარჩიეთ და თითოეულს მათგანს საკადრისი მიაზღვეთო“,—შეიძლება ბ-ნ ჩიქვანიძეს ზოგი ავი ჰქონდეს, მაგრამ კარგი თვისებები ბევრი აქვს, ხალხის მოყვარულია, გულ შემატკივარი, „შორსა და ლხინში მოზიარე“, „გაჭირვებაში ხელის გამმართველი“, ხალხის პურ-ღვინით მიმღები“, „გულგაშლილი და თავმდაბალი“—და ამიტომაც საკადრისი მიუზღვეთო, ესე იგი გაათეთრეთო.

ასე გაიგეს ენა-მახვილის პოეტის სენტენცია და ასეც თურმე უნდა გავიგოთ, როგორც თვით იმ წერილიდან ვცნობთ, რომელიც ზედ მიაკრა თ. აკაკი წერეთელმა თავისს სიტყვას „კრებულის“ მე-VI ნომერში დასტამბულს“.

შემდეგ კიტა აბაშიძე აკაკის იმ აზრს შეეხება, რომ ქუთაისის ინტელიგენცია ხალხის ზნე ჩვეულებას არ ასრულებს და ამით ხალხის გულს

---

დის სასიძო, ან მისი მხლებელი ისეთ შეცდომებში შეიყვანოს, რომ შემდეგში სასაცილო ამბად დარჩეს ამ სოფელში. ამიტომაც, ამ გვარ მოსატყუებელ მახეს, რომელიც ოთახიდგან ოთახამდის ბნელ გზაზედ ყოველ ნაბიჯზედ უგია, თითონ თვალს არიდებს, შეუმჩნევლად სტოვებს, რომ თავისს თანა-მოგზაურებს თვალი აუხვიოს და შიგ გააბას. ერთი ამ გვარი მახეთაგანი შემდეგია: გობით წყალია დადგმული იმ ადგილას, სადაც გამვლელი (ამის უცოდინარი) უეჭველად ფეხს დაადგამს. ამ წყალში ქატოა ჩაყრილი, რომ თუ სასიძო ან მისი მხლებელი შესცდა და ფეხი ჩაუცდა წყალში, ეს შეცდომა ცხადად ემჩნეოდეს, რადგანაც სველზედ ქატო კარგად შეადგება; ცალ ფეხ წათეთრებული სიძე რომ შევიდეს ახლად გასაცნობ ცოლთან, ეს ქალისათვის სიკვდილია, ხოლო დანარჩენებისათვის-კი თავ შესაქცევარი ხუმრობა.

ამ გვარად ვინ იცის რამდენ მახეს დაუგებენ. ეს იმისაგანაა დამოკიდებული, თუ როგორი ოხუნჯი ჰყავს მასპინძელს ამ ღამეს დაპატიჟებული. სიძეც შეძლებისა და გვარად სცდილობს აიცდინოს განსაცდელი, რის შემდეგაც შეაღწევენ ქალების კრებასთან. აქ ერთ ხაზად ჩადრებში დამწკრივებული ქალების კრება წამოდგება; ამათ შუაში წითელი ჩადრით პატარძალი უდგათ. სიძე შესვლისათანავე ამათ „თემენას“ (სალამია) მისცემს და სიტყვიერად „დაბრძანდი“-ო დაუმატებს. ქალებიც ასევე მოექცევიან და გაიბმის თავპატიჟი დასხდომაზედ, რაც იმითი გათავდება, რომ ქალები, დედოფლის გარდა, დასხდებიან. შემდეგ სიძეს თავისი მხლებელი თოფს ჩამოართმევს ღ კუთხეში მიაყუდებს, რის შემდეგაც სიძეც დაჯდება და მახლობლებიც. აქ ორ მხლებლის გარდა არავის არა ლაპარაკოს. ესენი სცდილობენ ხუმრობით და ენა-მჭევრობით ერთმანეთს გადააჭარბონ. ეს ოხუნჯობა 5—10 წამს გასტანს, რის შემდეგაც სიძის მახლობელი წამოდგება და „წასვლის დროა“-ო განაცხადებს და გამოვა; ამას მეორეც გამოჰყვება, შემდეგ ქალებიც დაიძვრიან რიგ-რიგად, რომელთაც უკან დედოფალი მისდევს—ისიც გარეთ მიიწევს. მეფეს ეხლა უნდა სიფრთხილე, რომ დედოფალი არ გაუსხლტეს ხელიდგან, თორემ სირცხვილ ნაჭამის წასვლის მიზეზიც ეს იქმნება. ამიტომაც, როცა დედოფალი უკანასკნელად მიაწევს კარებთან, მეფე წინ გადაუდგება და არ უშვებს. ერთის მხრივ ქალების კრება არ ანებებს მეფეს კარების ჩაკეტვას და გარეთ ეწევა, მეორეს მხრივ დედოფალი გარეთ მიიწევს; ასე ორ ცეცხლს შუაა მეფე და ბოლოს უნდა დასძლიოს ამ ორსავე ძალას.

თუ სიძეს ისე გაურისხდა ღმერთი, რომ ცოლი როგორმე გაექცა, მაშინ ხომ მისი სიცოცხლე სიკვდილზედ უარესია. უეჭველად ყბად აიღებენ. მომხდარა, რომ ამ მიწევ-მოწევის დროს მეფეს კარი ისე უცბად და მაგრად მოუხურავს, რომ გარეთ მიმავალ დედოფალს, შემთხვევით, თითები კარებში მოჰქცევია, და წაჰგლეჯია. გათენებამდის ამალით სიძე სახლში მიიპარება, რომ ოჯახის არც ერთმა წევრმა, ცოლის გარდა, არ იცოდეს. ზოგიერთ შემთხვევაში არა სასიამოვნო ამბავსაც ჰქონია ადგილი. სიძე უნდა მივიდეს, მაგრამ არც ერთმა ოჯახის წევრმა არ იცის, რომელ ღამეს. დედოფალიც ვერ იცნობს თავისს ქმარს, იმას ჯერ თვალით არ უნახავს და არც მისი ავ-კარგიანობისა გაეგება რამე. ამავე ქალის შერთვა პირველად სხვა ვისმეს სდომებია, მაგრამ ქალის დედ-მამას იგი აუთვალწინებია და მეორეზე მიუთხოვებიათ. პირველმა—დაწუნებულმა რომ ჯავრი იყაროს, ნამდვილის ქმარისათვის დაუსწვრია და ქმარულად მისულა ქალთან. ეს ამბავი, იმავე ღამეს შეუტყვიათ, როდესაც პირველის წამოსვლის შემდეგ ნამდვილი ქმარი სტუმრებია ცოლს.

როგორც ვთქვით, რამდენიც სოფელია აჭარაში, იმდენი სხვა ჩვეულებაა. ზოგ სოფელში ერთი ისეთი ჩვეულებაა, რომ არ მგონია საქართველოს რომელსამე კუთხეში მოიპოვებოდეს. როცა მაყრებს დედოფალი ქმრის ოჯახში სიმღერითა და მხიარულობით მოჰყავთ, ვინც-კი მოასწრობს, გზაზედ ბაწარს გაუბამს და ამ მიმავალ კრებას იმ დრომდე გააჩერებს, ვიდრე საჩუქარს მიიღებდეს მაყრებისაგან, რის შემდეგაც ბაწრის გამბმელი, მაყრების მხიარულებას რომ თავისი თანაგრძნობა გამოუცხადოს, თოფს გაისვრის. ეს ბაწრის გაბმა შეიძლება რამდენჯერმე მოხდეს. ამას ყველას შეჰკადრებენ, წოდების განურჩევლად, ამ შემთხვევაში მორიდება არ იციან. ვისაც სურს, თუ მოასწრო, ყველას შეუძლიან და ეს ამბავი მუდამ საჩუქრით ბოლოვდება. ქორწილი საქმულ-მხიარულების მხრივ შესანიშნავია ქალის მოყვანის ღამეს.

პატარძალი ახალს ოჯახში შესვლისათანავე ახალ ცხოვრებისა და წეს რიგს დაადგება. რამდენისამე წელიწადის განმავლობაში ნება არა აქვს მამამთილს გამოელაპარაკოს. დაინახავს თუ არა, ფეხზედ უნდა წამოუდგეს და ყოველივე მისი ნაბრძანები, ოჯახის თავდარიგი ხმა ამოუღებლად, სისწრაფით, სალამის ძლევით შეასრულოს. ასევე უნდა მოექცეს დედამთილს. თუ არ წამოდგა, ისე ვერ დაელაპარაკება. ერთის სიტყვით, ოჯახის ყველა წევრის სრული მონა და მორჩილი ხდება და ქმართან ერთად ოჯახობის უღელს ეწევა. თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იგებსო და ამბობს, რომ ასეთი აზრი და შეხედულება შეცდარია. ამასთან ადარებს ამერეთისა და იმერეთის ინტელიგენციას და სწერს:

„მე ძალიან მაკვირვებდა ყოველთვის ერთი გარემოება: უნივერსიტეტში იმერეთის ახალგაზდობა უფრო მეტია რიცხვით და, უნდა სიმართლე სთქვას კაცმა, უკეთესიც არის თვისებით; ქართლ-კახეთის ახალგაზდობა რიცხვითაც მცირეა ხოლმე და თვისებითაც ნაკლები. ესეა უნივერსიტეტში, მაგრამ დაინახეთ ეხლა ცხოვრებაში ორივე ახალგაზდა — იმერელი უმჯობესი და ქართველი უარესი. ეს მეორე ყოველთვის მაღლა სდგას საზოგადოებაში და ცხოვრებაში თავისის კულტურულის ზნე-ჩვეულებით, თავისის ინტელიგენტობით. იმერელი ახალგაზდობა მალე იცილებს უნივერსიტეტში შეძენილს ქერქს, სულ ძირს იწევს დაბლოს, ზემოდაც მოგახსენეთ, ხალხს თავში კი არ უდგას, უკან მისდევს და მისი კაპრიზების მონა ხდება. ამის მიზეზი სწორედ ის გახლავთ, რომ იმერეთში არიან ინტელიგენტები, მაგრამ არ არის ინტელიგენტთა საზოგადოება. ეს ორიოდე ინტელიგენტი, რაც ძალი და ღონე აქვს, იმას ალევს, რომ, ცოტათი არის მაინც, შეინახოს კულტურული თვისებანი, განათლებულს საზოგადოებას კი ვერა ჰქმნის. ტფილისში კი ახალგაზდა ყოველთვის ჰპოებს მზათ საზოგადოებას, იგი არასოდეს არ რჩება ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა და რაკი წვრილმანს არ უნდება, უფრო ახერხებს სხვა მოქალაქობრივი მოვალეობა აღასრულოს. თუ გინდ იმ მოვლენასაც დააკვირდით, რომ იმერელი ინტელიგენტი თუ ტფილისში განათლებულთა წრეში ჩავარდა, ბევრად უფრო მაღლა სდგას თავისავე მოძმე იმერეთში დარჩენილზე, მას ამ საზოგადოების წყალობით კულტურული ჩვეულებანი, უნივერსიტეტში შეძენილი, შერჩება ხოლმე და კიდევაც უმტკიცდება ცხოვრებაში. ჩვენი დიდებული და სახელოვანი პოეტი თ. აკაკი წერეთელი-კი კიდევ იმ ხანას შესტრფის, როცა ლუარსაბა და დარეჯანი შერზუზუზებს ითვლიდნენ, და იმ ინტელიგენტს უმეტეს სკმეველს, რომელიც ლუარსაბ თათქარიძის ტახტზე გადაგორ-გადმოგორებას ბაძავს, რათა მისი გული მოიგოს. ამასთანა საზოგადოებაში ისეც სადიდებელია, ვინც კი ლუარსაბს ზურგს შეაქცევს“.

რაც შეეხება იმ „ხალხს“, რომელსაც ვითომ ბ-ნმა ჩიკვაიძემ მხარი დაუჭირა და ოპოზიციამ-კი ზურგი უბრუნა, აი, კიტა აბაშიძის სიტყვით, ვისგან შესდგებოდა ეს ხალხი:

„1) პოეტისაგან, რომელსაც „ბანკი მიაჩნია წვრილმან მოვლინებად“ და „ორთავა“ პუბლიცისტისაგან, რომელსაც უფრო სხვა „მაღალი მოსაზრებანი“ ამოქმედებდა... განცხადებათა ჯაჭვი აწუხებდა.

2) სხვა-და-სხვა ბობოლასაგან, რომლის ბედი და იღბალი დამოკიდებულია ბ-ნ ჩიკვაიძეზე, მათ არავითარი ზნეობრივი და გონებრივი დამსახურება არ მიუძღვით, არავითარი ინტერესი და არავითარი გაგება არა აქვთ საზოგადო საქმისა, ერთად-ერთი მაღ-ღონე მათი ბ-ნი ჩიკვაიძეა. ერთმა გულწრფელმა „ნეიტრალმა“, მითხრა, ესა და ეს ინტელიგენტები იმიტომ აძლევენ მხარს ჩიკვაიძეს, იციან რაკი ოპოზიცია გაიმარჯვებს, ვერავითარ საზოგადო საქმეში ვეღარ გაერევიან, ოპოზიციაში იგინი არად გამოჩნდებიან; კარგად იციან, მარტო ჩიკვაიძის მფარველობის ქვეშ შეუძლიათ იმოგონ, თუ გინდ ისეთი მცირე ადგილი საზოგადო საქმეში, როგორც ბანკში წარმომადგენლობა არისო და ეს საზოგადო საქმეში ჩამოხსნება ერთ გვარი უგნური თავმოყვარეობისა და განდიდების სურვილის შედეგია.

3) გამგეობის წევრების რამოდენიმე კრედიტორთაგან, რომელთაც იმდენზე ეინტერესებათ ბანკის საქმე, რამდენადაც მათი ვალი გარდახდილ იქმნება.

4) მესესხებელთაგან, რომელთა მამული ბანკზედ არის დაგირავებული, ამ მამულების გამო ბანკი წელიწადში 20 ათას მანეთს ზარალობს, ეს ზარალი ნამდვილად ხალხს აწვება კისერში და ჩვენი ბანკი ხდება სათარეშოდ 50, გინდ 60 დაუდევარის მესესხებლისა, რომლის დაუდევრობა ბანკს და ხალხს რამდენსამე ათას მანეთად უზის წელიწადში.

5) 60 თუ 70 „დამფასებლად გამზადებულთაგან“, რომელთაც ფეხს ქვეშ ჰქონდათ დაპირებული, დამფასებლად აგირჩევთო. ამ ორის უკანასკნელის კატეგორიის ამომრჩევლები ჩიკვაიძის მთელ ამომრჩეველთა $^4/_5$ ნაწილს შეადგენდნენ.

აი გახლავთ, ბატონებო, ის ხალხი, ის ბრბო „ბანკის ამომრჩეველთა“, რომელმაც გაამარჯვებინა ბ-ნ ჩიკვაიძეს ჩვენ კუდრაჭა სუტ-დემოკრატთა სასიხარულოდ და საბედნიეროდ და სწორედ მათის დემოკრატობის საგნად მხოლოდ ერთი სახის ხალხი შეიძლება იყოს და არა სხვა“.

დასასრულ ავტორი სწერს:

„დიაღ, რამდენადაც თ. აკაკი წერეთელი დიდებული პოეტია, რომელსაც ჩვენი ლიტერატურა საუკუნო ძეგლს აღუგებს, იმდენად დაბლა სდგას, როგორც პუბლიცისტი და მოქალაქე; რამდენად დიდის პოეტურის ნიჭით არის დაჯილდოვებული, იმდენად მცირე მოქალაქეობრივი გრძნობით და ნიჭით დაუსაჩუქრებია იგი განგებას. — ეს ყველამ იცის და ყოველი პოეტის თაყვანის მცემელი ურჩევს მას, პუბლიცისტურ კალამს წვერი მოსტეხოს და მაკდლოს, მოქალაქეობრივ მოვალეობას თავი დაანებოს და დაე, განმარტოებულად და მშვიდად დაიმკვიდროს იმ დიად სამყაროში, რომელსაც პოეზია ეწოდება. ცხოვრება თავისის ბრძოლით მეტად სცრის, მეტად ამახინჯებს თ. აკაკი წერეთლის პოეტურ სულს“.

## რუსეთი

„სინ. ოტ.“-ს სიტყვით, ფინანსთა სამინისტროსთან დაარსდა განსაკუთრებული კომისია გარდასახადთა აკრეფის ახალ დებულების შემოღების საქმის გარდასაწყვეტად.

— იმ საერთა-შორისო კონგრესის ადგილად, რომელიც 1901 წლისათვის არის დანიშნული სატეხნიკო და საპროფესიო განათლების საქმეთა განსახილველად, არჩეულია პეტერბურგი.

— ის ხმები, ვითომ საკომერციო ცოდნა-განათლების გამავრცელებელი საზოგადოება პეტერბურგში საკომერციო აკადემიას აარსებდეს, როგორც „სინ. ოტ.“ იუწყება, საფუძველს მოკლებულია. საზოგადოება ამ ჟამად მხოლოდ უმაღლესს საკომერციო ლიცეის პროექტს თურმე ამზადებს.

— კოსტრომის გუბერნიის თავადაზნაურთ, „ბირჟ. ვედ.“-ის სიტყვით, გარდაუწყვეტიათ შუამდგომლობა აღძრან იმის შესახებ, რომ გიმნაზიებში შემოკლდეს ძველ ენების სწავლების პროგრამა და გაფართოვდეს ახალ ენებისა, მათემატიკისა და სხვა საგნების პროგრამა.

— როგორც „Юрид. Газ.“ იუწყება, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტმა მოსთხოვა ქალაქის გამგეობებს სია ქალაქის ყველა ამომრჩეველთა. სიაში აღნიშნული უნდა იყვეს ამომრჩეველთა წოდება და პროფესია. ამასთან დეპარტამენტს მოუთხოვნია ცნობები იმის შესახებაც, თუ თვითეულს საბჭოში რამდენი აღმასრულებელი კომისიაა, რამდენი ხმოსანი იღებს მონაწილეობას ამ კომისიებში და სხვა. მოუთხოვნია აგრეთვე ცნობები საბჭოების კრებების შესახებ, რამდენჯერ მოხდა კრება 1896—1898 წლებში, რამდენს ხანს გასტანა თვითეულმა კრებამ და სხვანი. ეს ცნობები გამგეობებმა ამა წლის სექტემბერშივე უნდა წარუდგინონ დეპარტამენტს.

— წელს ხარკოვის უნივერსიტეტში მიღებულ იქმნა სულ 320 სტუდენტი; სულ კი ამ უნივერსიტეტში ამ ჟამად 1204 სტუდენტია, ამათგან ისტორიკო-ფილოლოგიურს ფაკულტეტზედ—42, ფიზიკო—მათემატიკურზედ—210, საბუნების-მეტყველოზედ—94, იურიდიულზედ—382 და სამკურნალოზედ—570.

— მოსკოველ გაზეთების სიტყვით ფარმაცევტთა მომავალ კრების ბიურომ გადასწყვიტა ამ კრებაზედ დასწრების ნება იმ ქალებსაც დართოს, რომელნიც აფთიაქებში მსახურებენ და რომელთაც რაიმე საფარმაცევტო ხარისხი აქვთ მიღებული. ასეთი ქალი რუსეთში ორასია.

— ამ ახლო მომავალში პეტერბურგში შეუდგებიან ახალის სავაჭრო-სამრეწველო ჟურნალის გამოცემას, რომელსაც სახელად „Промышленный Міръ“ ეწოდება. ამ ჟურნალის თანამშრომლად მრავალი ცნობილი პროფესორი და მწერალი იქმნა მიწვეული.

## უცხოეთი

**ინგლისი.** უცხო ქვეყნელ ჯაშუშებისაგან ინგლისიც არ ყოფილა თავისუფალი. როგორც აღმოჩნდა, პორტსმუტის არსენალში, სადაც მოთავსებულია ბრიტანიის ფლოტის გამგეობა, დიდი ხანია თურმე, რაც ძლიერ საჭირო საბუთის ქაღალდები იკარგებოდა. სხვათა შორის დაკარგულია საიდუმლო „კოდექსი ადმირალებისა“. გაიგეს, რომ ევროპის ერთ სახელმწიფოს ზღვათა აგენტს ჯაშუშთა მთელი დასი ჰყოლია ინგლისში, რომელია ეს სახელმწიფო, არ ასახელებენ გაზეთები, მაგრამ იქვე ამბობენ, რომ „იმპერატორი ვილჰელმი არც ამ წელიწადში წავა თავისი ბებიის—დედოფალ ვიქტორიის სანახავადო“.

**გერმანია.** ამ დღეებში ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ლორდ სალისბიურითან გერმანიის ელჩს ლონდონში. აქედგან რამდენსამე ფრანგულსა და გერმანულ გაზეთს დასკვნა გამოჰყავთ, რომ ინგლის-ტრანსვაალის საქმეში ეჭნება გერმანიის იმპერატორი ჩაერიოს და იმან მოარიგოს ერთმანეთში ისინიო. ამბობენ, ვითომც ერთსა და იმავე დროს ინგლისის მთავრობასაც ეთხოვოს იმპერატორ ვილჰელმისათვის შუაკაცობა და ტრანსვაალსაც, და ამტკიცებენ, რომ ის არ დააგვიანებს მართლაც ეკისროს ეს საქმეო. ეს თუ ასე მოხდა, — სიხარულით გაიძახიან ზოგიერთი გაზეთები, — თვალ-საჩინო საბუთი იქმნება იმისა, რომ გააგის სამშვიდობო კონფერენციაზედ აღძრულს

---

რომელსამე ოჯახს ავ-ენა, დედამთილ-მამამთილის შეუთვისებელი რძალი შემოეჩხა, ქმარი უეჭველად თავისს ცოლს საცხოვრებლად დედ-მამის ოჯახში აბრუნებს და ან უფრო ხშირად პირობის ძალით შეპირებულ „ნიქაჰ ფარას“ დაუთვლის და დაუფიცავს: „არ მინდიხარ და სამუდამოდ გამიშვიხარო“. ამის შემდეგ ეს ქალი მისთვის ისეთივე უცხო ხდება, როგორც ერთი უცნობი ვინმე და ქალიც სხვაზედ თხოვდება, ქმარიც სხვა ქალს ირთავს. ეს შერთვა-გაშვება რამდენჯერაც კეთილ ენებება, ნება აქვს ორსავე მხარეს. თავ-მინებებულ ქალისაგან შეძენილი შვილი მამასთან რჩება, საკვირველი ის არის, რომ დედა შვილის სამუდამოდ მოშორებას საშინელის სიმშვიდითა და გულგრილობით იტანს. შეიძლება იმავ თავ-დამნებებელმა იგივე ქალი კიდევ, ხელ მეორედ, შეირთოს, მაგრამ მთელი წესი ქორწინებისა ხელახლად უნდა მოხდეს.

თუ ვისმეს ორი, ან რამდენიმე ცოლი ჰყავს, ქალების ერთმანერთ შორის სიძულილს საზღვარი არა აქვს. მართალია, ქმრის შიშით ერთი მეორეს ჩხუბს ვერ აუტეხავს, მაგრამ ერთი-მეორის შური ამოუფხვრელად ღრმად აქვს გულში ჩანერგილი. თუ ერთი ძმა მოკვდა, ძმის დანარჩენი მამული რომ ქვრივმა რძალმა არ გაიტანოს, რასაც „შაჰარიათი“ აძლევს, ძმას ნება აქვს, თუნ და რამდენისამე ცოლის პატრონიც იყოს, ქვრივი რძალი შეირთოს. ამ გვარი მაგალითები აჭარაში ძალიან ხშირია. თუმცა სისხლითა და ხორცით ნათესაობის შენახვა ძალიან მტკიცედ იციან, მაგრამ ამ ჩვეულებას მაინც მისდევენ, რასაც სარჩულად, რასაკვირველია, ქონებრივი ანგარიში უძევს. ის მაგალითიც მომხდარა, რომ ცოლის სიკვდილის შემდეგ სიძეს სიდედრი შეურთავს. ერთი ასეთი ცოლქმრები დღესაც ცოცხლები არიან. ქმარი გურულია, იმ დროს გამაჰმადიანებული, რომ გურულის კილოთი საეკკლესიო გალობა დღესაც კარგად იცის. სჩანს, რომ კარგა მოზრდილი, ასე 15—20 წლისა ყოფილა, როცა ალლაჰის კალთას ამოჰფარებია.

ზოგიერთი ქრისტიანული წესი აჭარლებში დღესაც მტკიცედ შენახულა: არასოდეს არ შეიძლება შვილის მომნათლელის გვარისა შეირთოს აჭაურმა. შვილის ან ძმის მომნათვლელს (ქირვას) დედა არ დაემალება, თუმცა ეს მომნათვლელი ქრისტიანიც იყოს, რაიცა ხშირია. ამ გვარი მოყვრობა შვიდ მოდგმამდის, ქრისტიანულად, დაცული აქვთ.

შვილისაგან დედის პატივისცემა აჭარაში სწორედ რომ სამაგალითოა. მამას შვილი იმის ნახევრადაც არ უფრთხილდება და ერიდება როგორც დედას. დედა იმისთვის სათაყვანებელი არსებაა, რომელსაც ყოველისფერს ანაცვალებს. ხშირად მომხდარა, შვილს საყვარელ ცოლისათვის თავი დაუნებებია იმ მიზეზით, რომ დედას ვერ შეეთვისა და მისი ავად მახსენებელი იყო. შვილისაგან მამის ცუდად ხსენება და იმაზედ საჩივრის შეტანა ძალიან ხშირია. ის მაგალითიც ყოფილა, რომ შვილმა მამა ტყეში გაიტყუა, როგორც კაენმა აბელი, დაჰკრა თავში ცული და სული გააფრთხობინა. იგივე შვილი იმავ მამაზედ უარესს დედას რაც ძალი და ღონე აქვს პატივსა სცემს და არასოდეს, რაც უნდა მოხდეს, დედაზედ გულ-ნატკენობას არ გამოიჩენს.

დიდად მავნებელი ჩვეულება, რომელიც, რასაკვირველია, მომავალ თაობისათვის უმნიშვნელოდ არ ჩაივლის, ნორჩთა დაქორწინებაა, რასაც შედეგად ის მოსდევს, რომ სუსტის დედ-მამისაგან ხშირად მახინჯი ბავშვები, იბადებიან. აქ იშვიათი სანახავია 17 წლის ყრმა უცოლოდ. ამ წლოვანებაში ყველა ქორწინდება. შეხვდებით ისეთს მაგალითსაც, რომ 8 წლის ბავშვი ცოლ-შერთული იყოს, „ახტი“ შესრულებული ჰქონდეს რომელსამე 4—5 წლის ქალზედ. ასეთი ქორწინება, რასაკვირველია, ამათის მშობლების თანხმობით ხდება. ამ გვარ შემთხვევებს აი რა მოსდევს: გაიზარდა ქალი, 14 წლისა შეიქმნა, მშობლებმა უამბეს გათხოვების ამბავი, დაინახა ქალმა საქმრო და არ მოეწონა. მამას ამ საქმის დაშლა არ უნდა, მაშასადამე, არც შეიძლება. შვილი მამას გაურბის და სხვაგან იმალება. სასიძოც შეიძლება ამ გვარმა საქმემ აალელვოს, ამას ბევრი მისაკერებელი მიეკერება, საქმე გამწვავდება და სისხლის ღვრით თავდება. აგრეთვე ხშირია, რომ ქალსა და ვაჟს დედ-მამის ფარულად დიდი ხანია ერთმანეთისათვის სიტყვა მიუციათ. ეს ამბავი ერთ-ერთის ჯიუტმა მამამ გაიგო და უარზედა სდგას, სირცხვილად მიაჩნია, უჩემოდ საქმე როგორ გადაწყვიტესო. ვაჟი ქალს იტაცებს. ამას მდევრები გამოუდევნებიან, ვაჟის მახლობლები იფარვენ, გაიმართება ჩხუბი და სისხლის მორევი დადგება. მოჰკლავენ ვისმე და დამნაშავეს ციმბირში უკრავენ ხოლმე თავს. ქალის მოტაცება ახალი ამბავი არ არის აჭარაში, ჩვეულებად აქვთ. ამიტომაც იმდენი სისხლის ღვრა არც ერთ ქვეყანაში არ მოხდება, რამდენიც აჭარაშია. ვინ მოსთვლის, რამდენი კაცი გავარდნილა და ტყე-ტყე უვლია ყაჩაღად ქალის მიზეზით, მართლ-მსაჯულობას გაჰქცევია და ბოლოს ტყვიის მსხვერპლი გამხდარა.

ა. მგელაძე

სჯანს იმის შესახებ, რომ ყველა სადაო საქმე სახელმწიფოთა შორის მედიატორულმა სასამართლომ გარდასწყვიტოსო, მშვიდობით გაუდგამს ფესვიო.

—

**ბოლგარია.** ერთს დროს ბოლგარიის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე—კარაველოვი მისულა ამ დღეებში ფილიპოპოლში. მას დიდის ამბით მიეგებებიან მისი მეგობრები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბოლგარიის აწეწილ, ფინანსიურ საქმეების გამოწყობა მხოლოდ მას შეუძლიანო. შემდეგ კრებაც გაუმართავთ ქალაქში, რომელზედაც დიდძალი ხალხი მისულა. კარაველოვს სიტყვა წარმოუთქვამს, რომელშიაც ხშირად იხსენიებდა თურმე ინგლისს, როგორც სამაგალითო კონსტიტუციონალურს სახელმწიფოს და ამტკიცებდა, რომ ბოლგარიამ თავისი საკუთარი ინტერესებისათვის უნდა მიჰბაძოს მასო. „მთავარმა და ერმა ოღონდკი მომანდონ, და მე დაუმტკიცებ მათ, თუ როგორ უნდა დავახწიოთ თავი ეხლანდელს ფინანსიურს გაჭირვებასო“,—უთქვამს სხვათა შორის კარაველოვს. ზოგიერთი დამსწრენი ხშირად სიტყვას აწყვეტინებდნენ თურმე ორატორს. ერთ მათგანს უკითხავს: როგორ გადააგდე ტახტიდგან მთავარი ალექსანდრეო? კარაველოვს უპასუხნია, რომ მე არაფერი არ ვიცოდი მთავრის ალექსანდრეს წინააღმდეგ შეთქმულობის შესახებაო. სხვა ამგვარ კითხვებს ისე შეუფიქრიანებია და დაუღონებია კარაველოვი, რომ ლაპარაკისთვის თავი დაუნებებია. იმას მიშველებია ვიღაც ტაგიევი, რომელსაც უთქვამს, რომ ბოლგარები ეხლანდელს მთავარსაც გადააყენებენ, ის თუ არ იზრუნებს ბოლგარიის ინტერესებისთვისო!!.

—

**ტრანსვაალი.** ტრანსვაალის სამხედრო მზადების შესახებ შემდეგი ცნობებია მოსული:

ტრანსვაალისა და ორანჟის რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ შეიმუშავა ბრძოლის გეგმა და ყოველგვარი ღონისძიება იხმარა ქვეყნის დასაცველად. ექიმები, სამკურნალო მასალა და სხ. თითქმის სულ მზათ არის. 200 ქალმა მოწყალების დებად წასვლის სურვილი განაცხადა. 25 ექიმი და დოსტაქარი ჯარს გაჰყვებიან უკან. სურსათისა და საომარ იარაღების მხრით მხედრობა უზრუნველ ყოფილია. ყველა უმთავრეს ადგილას მსწრაფლ-მსროლი ზარბაზნებია მიტანილი. პრეზიდენტ კრიუგერის პირველ ბრძანებისათანავე 52,000 კაცს შეუძლიან საომრად გასვლა.

ნატალში (ინგლისის ახალშენია) ძლიერ შეფიქრიანებულია ინგლისის მთავრობა. ეშინიან, ბურები უცებ არ შემოესიონ ტრანსვაალიდგან და ნატალელი ბურებიც არ აგვიჯანყდნენო, რომლებიც შეიარაღებულნი არიან და ამასთანავე ტრანსვაალისკენ თვალი უჭირავთ. კაპშტადში კიდევ უფრო ეშინიათ ინგლისელებს აფრიკანდიორების დალაშტისა.

— ამ რამდენისამე დღის წინად ლონდონში წიგნი გამოსულა, რომელსაც ჰქვიან „მთელი ქვეყნიერობის მხედრობა“. ამ წიგნის ავტორს—ჩარლზ ჯერრამს—სტატისტიკური ცნობები შეუკრებია ყველა სახელმწიფოს მხედრობის რაოდენობის შესახებ. ტრანსვაალის შესახებ შემდეგი ცნობები ყოფილა ხსენებულს წიგნში მოყვანილი:

ტრანსვაალში სცხოვრობენ 259,000 თეთრი კაცები, ე. ი. ევროპიელები შთამომავლობით და 620,000 კაფრი. ქვეყნის მუდმივ ჯარს შეადგენს 26,500 კაცი, რომელთაგან 14,000 კაცი 18—35 წლის არის. ტრანსვაალის არტილერია, რომელიც 1895 წელს ახალს წესსა და რიგზედ მოეწყო, მხედრობის საუკეთესო ნაწილს შეადგენს. თუ რამდენი ზარბაზანი ირიცხება არტილერიაში, ამის შესახებ ნამდვილი ცნობები არ არის. მხოლოდ ეს კი იციან, რომ კორპუსს აქვს კრუპის 6 მსუბუქი და 6 მძიმე ზარბაზანი, 4 მძიმე და 2 მსუბუქი მსწრაფლ მსროლელი ზარბაზანი, ერთი მიტრალიეზა და ერთიც ავტომატიური ზარბაზანი.

მუდმივ ჯარს გარდა, ბურებს კოლონტიორებისაგან შემდგარი რამდენიმე კორპუსიც ჰყავთ. ყველა კოლონტიორი კარგი მსროლელია და არაფრით ჩამოუვარდებიან მუდმივ ჯარის კაცთ. იოჰანესბურგშია კოლონტიორების კორპუსი, რომელშიაც 600 ქვეითა და 200 ცხენოსანი ბური ითვლება. სხვა ქალაქებშიაც არის კოლონტიორთა კორპუსები, რომლებშიაც 150 ცხენოსანზედ ნაკლები კაცი არსად არ ითვლება.

## ბიბლიოგრაფიული ცნობა.

გერმანულ ჟურნალში „დას ლიტერარიშ ეხო“, რომელიც ბერლინში იბეჭდება, დაბეჭდილია წერილი არტ. ლეისტისა: „განხილვა ქართულის ახალის ლირიკისა“. იქვე დაბეჭდილია რამდენიმე ქართული ლექსი აკ. წერეთლისა, განდეგილისა, ევდოშვილისა და ილია ჭავჭავაძისა, გერმანულად თარგმნილი.

გერმანულსავე ჟურნალში „აუს ფრემდენ ცუნგენ“ დაბეჭდილია იმავე ავტორის წერილი სათაურით: „ქართული თეატრი“.

გერმანულსავე ჟურნალში „დი რომანველტ“ დაბეჭდილია გერმანულად ქართულიდამ თარგმნილი დეკანოზიშვილის მოთხრობა „პეპელა“.

## დამაჯერდი

ხშირად ჭკუის ნაკლებულობას გულკეთილობას უწოდებენ.

კარმენ სილვა

***

რას არ იზამს დედაკაცი, ოღონდკი თავისს მოქიშპეს გული ატკინოს? მახსოვს, ერთმა ქალბატონმა მარტო იმიტომ შემიყვარა, რომ მე სხვა მიყვარდა.

მ. ლერმონტოვი

***

ყოველთა მხილველი თვალი მარტო თავის თვალს ვერა ჰხედავს.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ვუწყით, ევროპის დიდ ქალაქებში ცხენის ეტლების ნაცვლად შემოიღეს თვით მოსიარულე ეტლები. ამ ჟამად პარიჟის, ლონდონის, ბერლინის და სხვა დიდ ქალაქების ქუჩებში ბევრს შეხვდებით ისეთ ეტლს, რომელსაც ზედ მჯდომი განსაკუთრებულის მეხანიზმის წყალობით ამოძრავებს და იქით მიჰყავს, საითაც უნდა. დღემდის ასეთ თვით-მოსიარულე ეტლებს, ყოველივე მოლოდინის წინააღმდეგ, მხოლოდ შეერთებულ შტატებში არა ჰქონდა გასავალი. ამისი მიზეზი ჯერ ერთი ის იყო, რომ იქ თითქმის გზა-ტკეცილები არ არსებობს, რადგანაც ყველგან რკინის გზებია, და მეორე კიდევ ის, რომ თვით ქალაქებში აუარებელი ცხენი და ელექტრონის რკინის გზებია. ამის გამო მხოლოდ ამ ბოლოს დროს მიჰყვეს ხელი თვით-მოსიარულე ეტლებს. ნიუ-იორკში ამას წინად ამხანაგობაც კი დაარსდა. ამ ამხანაგობას ამ ჟამად 60-ზედ მეტი თვით-მოსიარულე ეტლი აქვს. ქალაქის რამდენსამე ადგილას სადგურებია და ეს ეტლები ამ სადგურებს შუა დაიარება. თითო ეტლში ოთხი კაცი ჩაეტევა. ეტლები ელექტრონის აკუმულიატორებით მოყავთ მოძრაობაში, საათში შეუძლიან 12 ვერსი გაიაროს. ხალხი პირველ ხანს არ ეტანებოდა ამ ეტლს, მაგრამ თან და თან მიეჩვია და ეხლა „კონკებსა“ და სხვა ეტლებს თითქმის სულ თავი დაანება და ამ ახალის ეტლებით დაიწყო სიარული. რადგანაც პირველის ამხანაგობის საქმე კარგად წავიდა, რაოდენიმე ახალის ამხანაგობის დაარსება განუზრახავთ. ამბობენ, რომ ახლო მომავალში ეს თვით მოსიარულე ეტლი სრულიად განდევნის ნიუ-იორკში ცხენის ეტლსა და „კონკას“.

***

მარკონიმ ამას წინად ერთხელ კიდევ გამოსცადა ის, თუ რამდენად გამოსადეგია უმავთულოდ დეპეშების გადაცემა. ამ ხანად გამოცდა მოხდა ინგლისსა და საფრანგეთს შუა. სრუტეს ლამანშის იქითა და აქეთა მხარეს დიდი მაიაკები (გემების სანიშნებელი სვეტები) გამართეს, ერთი საფრანგეთისა, ხოლო მეორე ინგლისის ნაპირზედ. გამოცდას დაესწრნენ როგორც ინგლისის, აგრეთვე საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელნიც. დეპეშები სამაგალითოდ იქმნა გადაცემული; ერთი სიტყვა არ დაჰკლებია თურმე ამ გვარად გადაცემულ ამბავს. სულ ორივე სადგურის გამართვა დაჯდა 600 ფრანკი, ჩვეულებრივი ტელეგრაფი-კი რომ გაემართად, თითქმის ათჯერ ამაზედ მეტი დაჯდებოდა.

***

გაზეთები შემდეგს ამბავს იუწყებიან ერთის ავადმყოფის შესახებ, რომელიც ამ ჟამად ოდესის საავადმყოფოში წევს. ეს ავადმყოფი ახალგაზდა 22 წლის ლამაზი ქალია, გვარად ბოშნიაკი. თექვსმეტის წლისამ ბოშნიაკმა გიმნაზია გაათავა, გაიცნო ამ დროს ერთი ახალგაზდა კაცი და გულით შეიყვარა იგი. პირველ ხანს ვაჟსაც უყვარდა, მაგრამ შემდეგ გული აიცრუა და განზედ დაიჭირა თავი. ამ გარემოებამ ისე იმოქმედა ქალზედ, რომ ბოშნიაკი ავად გახდა. ავადმყოფობა თან და თან ძნელდებოდა, ბოლოს ქალი ჭკუაზედაც შეიშალა, ბოშნიაკი სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ იქ სადათის ძილით დაეძინა. რამდენისამე ხნის შემდეგ ქალს გამოეღვიძა და უკეთესობა დაეტყო. ამის გამო საავადმყოფოდგან გაიყვანეს. ქალს მშვიდად და წყნარად ეჭირა თავი, თითქოს ყველაფერი დაავიწყდაო. მაგრამ ამ დავიწყებამ დიდხანს არ გასტანა. მალე მოაგონდა თავისს სიყვარულის ისტორია და ხელ ახლა დაეძინა. იმის გაღვიძებას არაფერი ეშველა. ექიმებმა შეამოწმეს, რომ სადათას ძილით ეძინა. ქალი მხოლოდ დილით ადრე იღვიძებდა და საჭმელს თხოულობდა; რა წამსაც საჭმელსა სჭამდა, იმ წამსვე თვალებს დახუჭავდა და ხელ-ახლა დაიძინებდა ხოლმე. ასე გავიდა ექვსი თვე; ქალი თუმცა იღვიძებდა, მაგრამ საჭმელს აღარა თხოულობდა. ნათესავებმა ხელ-ახლა საავადმყოფოში დააწვინეს. შარშან აგვისტოს, ღამე, ქალმა უცბად გამოიღვიძა, გაიძრო საცვლები და ფანჯრიდგან ბაღში გადახტა. დროზედ შეამჩნიეს, შეიყვანეს და ხელ-ახლა დააწვინეს. თუმცა ლაპარაკის ნიჭი ბოშნიაკს ხელ-ახლა დაუბრუნდა და სადათის ძილითაც აღარა სძინავს, მაგრამ ყველაფერი დაავიწყდა და ეხლა ან გამოშტერებული წევს თურმე, ან კიდევ საავადმყოფოს ოთახში დადის.

## გამოსადეგი ცნობა

—

დაუვითლებულს მარგალიტს სითეთრესა და ბრწყინვალებას ასე უბრუნებენ. უბრალო ბოთლს ნახევრამდე ციკის წყლით ავსებენ, შიგ მარგალიტსა ჰყრიან და მზეზედა სდგამენ.

## უკვდავთა ღაღადებანი

ა. წმ. ნინოს ლოცვა. *)

კურთხეულარს ღმერთი და მამაჲ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელმან მოავლინა სიტყვაჲ წმიდაჲ მისი ცათა მაღალთაჲთ, თვთ ძლიერისაგან საყდრისა გარდამოსრული ქვეყანად მდაბლად, უეჭველად შობად ხორციელად თესლისაგან დავითისა, დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა, წმინდისაგან და უბიწოჲსა, რომელი სათნო ეყო მას, და ამით მიზეზითა ცხოვრებაჲ ჩვენი შექმნა და ყოველი ცასა ქვეშე მყოფი განანათლა, და უმეტეს მისა მიმართ მორწმუნენი აცხოვნნა, რამეთუ იშვა, ვითარცა კაცი, პატივეცა, ვითარცა ღმერთსა, ნათელიღო, ვითარცა მსახურმან ვინმე შჯულისამან წყლისა და სულისაგან; ხოლო მამით და სულით წმიდით ზეგარდმო იწამა და იდიდა, ჯვარსეცვა, დაეფლა დ აღსდგა, ავდა მათვე სიმაღლეთა მამისათანა, და მომავალ არს დიდებითა, რომელსა შვენის გალობაჲ ამენითა.

ბ. ლოცვა მისივე.

უფალო, უფალო, მრავლითა ძალითა შენითა გეცრუვნეს შენ მტერნი ესე. და ესე არს დიდითა სულგრძელებითა შენითა, და იქმნა, რასაცა იგონებენ მტერნი ესე და ნაცარნი ქვეყანისანი; არამედ ნუ უგულებელს ჰყოფ, რამეთუ ხატი შენი არს კაცი, რომლისათვის ერთი სამებისაგანი კაც იქმენ და აცხოვნე ყოველი სოფელი, ამათაც ნათესავთა მოხედენ და შეჰრისხენ სულთა ამათ უჩინოთა სოფლის მპყრობელთა, მთავართა ამის ბნელისათა, და მიჩვენე მე, ღმერთო, მამისა და დედისა ჩემისაო, მხევალსა ამას, ნაშობსა მონისა შენისასა, რათა იხილონ მაცხოვარებაჲ შენი ყოველთა კიდეთა ქვეყანისათა, და რათა ჩრდილოჲ ბლუარსა თანა იხარებდეს, და ყოველმან ენამან შენ მხოლოსა ღმერთსა თაყვანისცეს ქრისტე იესოჲს მიერ, ღვთისა ჩვენისა, რომელსა შვენის მადლობით დიდებისა შეწირვაჲ აწ და მარადის და მერმეთა მათ საუკუნეთა ამენ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 სექტემბერი

**ბლემფონტეინი.** დეპეშით იუწყებიან, რომ ინგლისის ჯარი ორანჟეის რესპუბლიკის საზღვარს გადავიდაო.

**დურბანი.** ინდოეთიდგან მოვიდა ინგლისის გემი ჯარითა და საომარი იარაღით. მოვიდნენ აგრეთვე სანიტარებიც. ჯარი მაშინვე გადმოვიდა და გაუდგა გზას.

**კაპშტადტი.** როგორც სხვა-და-სხვა ცნობებიდგან სჩანს, უმთავრესი ძალა ბურებისა ნატალის მახლობლად, ტრანსვაალისა და ორანჟეის რესპუბლიკის შუა, აპირობს დადგომას.

**ნიუ-იორკი.** მაკ-კინლეის გადასცეს პეტიცია, რომელშიაც სთხოვენ ჩაერიოს ინგლის-ტრანსვაალის საქმეში და შუამდგომლობა გასწიოს.

23 სექტემბერი

**ლონდონი.** „Times“-ში დაბეჭდილია პრეტორიიდგან მოსული დეპეშა, რომელშიაც მოყვანილია კრიუგერის სიტყვა, წარმოთქმული საეროვნო კრებაზედ გარეშე ხალხის დაუსწრებლათ. პრეზიდენტს უთქვამს, რომ ყველაფერი ომის მომასწავებელი არისო. ტრანსვაალის ერს სურს თითონ უპატრონოს თავის თავს და ათასი ვინმეც რომ თავს დაესხას მას, იმას არაფრის შიში არ აქვს, მეტომ რომ ღმერთი არის მსაჯულიო; ის დაადგენს განაჩენსო. ჯემსონი როცა თავს დაგვესხა, მაშინაც რამდენიმე ათასი ტყვია დახარჯეს, მაგრამ ბურგერებს არა დაუშავებიათ-რა, მაშინ როდესაც მეორე მხარეს რამდენიმე ასი კაცი დაეცა ძირსო. ეს იმას ამტკიცებს, რომ ღმერთია ქვეყნის გამგეო. საეროვნო კრების თავმჯდომარეს უპასუხნია, რომ უმჯობესია აღარ ვიყვნეთ, ვინემ არავითარი მამული არა გვქონდესო, და ეხლა ომის მეტი სხვა აღარა დაგვრჩენიაო.

კაპშტადიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ნატალის საზღვარზედ საქმის ვითარება იმდენად საშიშია, რომ მთავრობამ საჭიროდ სცნო შეჰკითხებოდა სიმონსის ნავთსადგურის ადმირალს, თავისუფალია თუ არა კრეისერი „დორისი“ გენერალი უაიტი და 12 აფიცერი მოიყვანოს პირდაპირ დურბანშიო.

**ბრიუსელი.** სარწმუნო წყაროების ცნობებით, ლეიდს ამბავი მოუვიდა, რომ კრიუგერმა ულტიმატუმი გაუგზავნა სალისბურის, რომ ინგლისის ჯარი მოაშოროს ტრანსვაალის საზღვარს 48 საათის განმავლობაშიო. ეს ამბავი ოფიციალური არ არის. როგორც ისმის, ულტიმატუმი ორშაბათს გარდაუციათ. ის თუ მხედველობაში არ იქმნა მიღებული, ტრანსვაალი ხუთშაბათს შეუდგება სამხედრო მოქმედებასო.

**პარიჟი.** ბერანჟეს მოლაპარაკება ჰქონდა პოლიციის პრეფექტთან და სამოსამართლო გამომძიებელთან შეთქმულობის შესახებ, რომელიც გამოამჟღავნა ბერტოლ გრევილმა „Etoile Belge“-ში. ჰფიქრობენ, რომ კიდევ ბევრს გაუჩხრეკენ სახლებს და დაატუსაღებენო.

**სიმფეროპოლი.** ოლქის სასამართლოში გაირჩა საუცხოვო საქმე ოსმალელ სომხის კრიკორის მიერ სიმფეროპოლში ოსმალეთიდგან მოსულ ოსმალეთის ქვეშევრდომ ხასანის მოკვლის შესახებ. უკანასკნელს დაუხოცია აზრუმის ოლქში სომეხ კრიკორის მთელი სახლობა ოსმალების მძვინვარების დროს. ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს სიმფეროპოლში. ნაფიცმა ვექილებმა გაამართლეს ბრალდებული.

*) წმიდა ნინომ მონათლა ქართველნი 324 წელს. იმავე წელს წმ. მეფე მირიანმა ააგო მცხეთას საყდარი—„სვეტი ცხოველი“. მანამდე ქართველები ემსახურებოდნენ კერპებს და უმთავრეს ღმერთად სთვლიდნენ მზეს—არმაზს, რომლის ანდალმა ალმართულ იყო იქვე მცხეთის ახლოს, ქალაქ არმაზს. წმ. ნინომ მიიძინა 338 წელს.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ნიკოლოზ დავითის ძეს ნინიძეს, რომელმაც ახკანის წიგნთსაცავს შემოსწირა ოცდა სამი ცალი ქართულ-რუსული წიგნი, ღირებული ექვს მანეთად.

გამგე ს. ჭეიშვილი


# განცხადებანი

## ისყიდება
## ორ-სართულიანი სახლი

დიდუბეში, შერემეტევის ქუჩაზედ, წყლის კრანის ახლო, № 23. ფასის შეტყობა იქვე შეიძლება, სახლის პატრონის ლაზარე კვაჭაძისაგან.

(5—155—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 23 го Сентября 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.